

გადაწყვეტილების დაზუსტების ტექნოლოგიები

გადაწყვეტილების მიღების სისტემებში

ჩემი ბოლო დროინდელი ფუნდამენტური კვლევის მიზანია შეიქმნას ან მოდიფიცირება გაუკეთდეს გარკვეულ ცოდნაზე და ცოდნის წარმოდგენებზე დაფუძნებულ ისეთ საექსპერტო ცოდნის ანალიზის ევრისტიკულ მეთოდებს, რომლებიც გამოირჩევიან გადაწყვეტილების მიღების გარკვეული საიმედოობით პრაქტიკაში ფართო სპექტრის ამოცანებისთვის (სამედიცინო დიაგნოსტიკა, ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი, ინფორმაციის მართვა და სხვა). ისინი შეასრულებენ დაზუსტებად გადაწყვეტილებათა მოდელირებას საექსპერტო ცოდნის ნაკადების არსებობის შემთხვევაში. ეს მეთოდებია: 1. დისკრიმინაციული ანალიზი 2. ბმულობათა ანალიზი 3. ფაზი-დაფარვების ანალიზი 4. ფაზი-კლასების სტატისტიკის ტექნოლოგიები 5. ექსპერტონების მეთოდი და 6. საექსპერტო ცოდნის წარმოდგენის კონსილიუმის შექმნის რამდენიმე მეთოდი. გადაწყვეტილების დაზუსტება, პირველ რიგში, გულისხმობს გადაწყვეტილების მიღების ფაქტორების წარმოდგენის გაუმჯობესებას დემპსტერ-შეიფერის მონაცემთა სტრუქტურის გარემოში. რა თქმა უნდა, არსებობს ცოდნის წარმოდგენისა და გადაწყვეტილების მიღების უამრავი მეთოდი, რომელიც იყენებს მონაცემთა წარმოდგენის დემპსტერ-შეიფერის სტრუქტურას. ამ მიმართულებით არის სიახლე: მონაცემთა ტანის სტრუქტურის დაზუსტების ტექნოლოგიების შექმნა, რომელსაც მონაცემთა ტანის ტემპორალიზაციას ვუწოდებთ. ტემპორალიზაცია გულისხმობს მონაცემთა ტანთა ერთობლიობაზე ინფორმაციის დაზუსტების (ჩართვის) მიმართების კონსტრუირებას. ჩემს კვლევებში განვითარებული ეს მიდგომა სრულიად ახალია საექსპერტო ცოდნის წარმოდგენისა და სტრუქტურირების ფუნდამენტურ საკითხებში. ეს თავის მხრივ გამოიწვევს ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდების მოდიფიცირებას, რომლებიც გამოყენებული იქნება გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერ სისტემაში. ეს ყველაფერი ნიშნავს შემდეგს: 1. არსებული მეთოდების შემავალ მონაცემთა წარმოდგენას დემპსტერ-შეიფერის სტრუქტურაში, ე.წ. პესიმისტურ-ოპტიმისტურ შეფასებათა წარმოდგენებში, ეს კი საექსპერტო ცოდნას და მის ინტელექტუალურ აქტივობას უკეთესად წარმოაჩენს. 2. გადაწყვეტილების მიღების სისტემის ცოდნის ბაზაში წარმოდგენილი მეთოდების კრიტერიუმებში გამოყენებული იქნება უზუსტობისა და განუზღვრელობის აგრეგირების ისეთი ტექნოლოგიები (ინსტუმენტები) როგორცაა: შოკეს ინტეგრალი, სუჯენოს ინტეგრალი, დემსტერის ქვედა და ზედა მოლოდინები, დადებითი და უარყოფითი დისკრიმინაციები, OWA ოპერატორები და ა.შ. 3. შერჩეულ მეთოდებში ეს აგრეგირებები მოგვცემს ახალი ტიპის კრიტერიუმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ დაზუსტებადი გადაწყვეტილებების მიღებას. ამით, არსებული ევრისტიკული მეთოდები შეიძენენ ფუნდამენტურ ბაზას, რომელთა საბოლოო მიზანი იქნება საექსპერტო ინფორმაციის ნაკადების შემოსვლის პირობებში დაზუსტებადი გადაწყვეტილებების მოდელირება. 4. გადაწყვეტილების მიღების სისტემა შეიძენს მაღალ სანდოობას, რომლის შეფასებაც მოდიფიცირებულ მეთოდებში შესაძლებელი იქნება ისეთი საინფორმაციო ზომებით, როგორცაა დაზუსტებად გადაწყვეტილებებზე აგებული კონფუზიისა და ქაოსის, ასევე უზუსტობისა და არასპეციფიურობის ზომები და ა.შ.